ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7210009

ნომერი: AR11055773

თარიღი : 03.09.2024

გაცემის თარიღი : 09.09.2024

გაცნობის თარიღი : 09.09.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი , ქუჩა ახვლედიანი , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ყოლბაია პ/ნ 01007008502
- ერწოს ქუჩა 11

ორგანიზაცია:
- შპს ნორბი კოდი: 404385312

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 19 აგვისტოს №7186082 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 03 სექტემბრის №AR11055773 განცხადებით მომართა ნინო ყოლბაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 19 აგვისტოს №7186082 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 04 მარტის №5312455 ბრძანებით, №01.19.16.002.229 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის (საწყობი და საწყობის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი ოფისი არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ისა) მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2024 წლის 19 აგვისტოს №7186082 ბრძანებით №01.19.16.002.229 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საწყობის (საწყობი და საწყობის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი ოფისი არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ისა) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 19 აგვისტოდან 2025 წლის 19 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2024 წლის 19 აგვისტოს №7186082 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საოფისე ფართობი 279.44 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 190.27 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 17.15 კვ.მ-ის ნაცვლად 55.67 კვ.მ., სასაწყობე ფართობი 982.93 კვ.მ-ის ნაცვლად 985.62 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და 0.00 ნიშნულის გეგმა შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება. ასევე, სამსახურმა დაადგინა, რომ საოფისე, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს და სასაწყობე ფართობების ცვლილება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც და 1279.52 კვ.მ-ის ნაცვლად იქნება 1231.56 კვ.მ.
გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახურმა დაადგინა რომ სამსახურის 2024 წლის 19 აგვისტოს №7186082 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საპროექტო ობიექტად „საწყობი (საწყობი და საწყობის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი ოფისი არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ისა)“ ნაცვლად დაფიქსირებულია „მრავალფუნქციური შენობა“. ვინაიდან, სამსახურის 2021 წლის 04 მარტის №5312455 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცებულია საწყობის (საწყობი და საწყობის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი ოფისი არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ისა) მშენებლობის მიზნით, მის საფუძველზე გამოცემულ სამსახურის 2024 წლის 19 აგვისტოს №7186082 ბრძანებაშიც მითითებულ უნდა იქნას საწყობი (საწყობი და საწყობის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი ოფისი არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ისა).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ტექნიკური შეცდომის გასწორება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 19 აგვისტოს №7186082 ბრძანებაში და:

1.1 სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში საპროექტო ობიექტად „მრავალფუნქციური შენობის“ ნაცვლად დაფიქსირდეს: „საწყობი (საწყობი და საწყობის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი ოფისი არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ისა)“

1.2 ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდეს: 190.27 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 55.67 კვ.მ., სასაწყობე ფართობად: 985.62 კვ.მ. საერთო ფართობად: 1231.56 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის

19 აგვისტოს №7186082 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული 0.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 19 აგვისტოს №7186082 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 19 აგვისტოს №7186082 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
